



სარეკომენდაციო მიტიტება 2017 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის ფასს სტანდარტების პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ – კანონი) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება უნდა შეესაბამებოდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს. კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სუბიექტის მიერ შედგენილი ფინანსური ანგარიშგება შესადარი პერიოდისთვის უნდა ასახავდეს სუბიექტის ფინანსურ მდგომარეობას, საქმიანობის შედეგებს, ფულადი სახსრების და კაპიტალის მოძრაობასა და განმარტებით შენიშვნებს.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2016 წლის 8 ივნისს მიღებული კანონით, რომელიც ძალაში შევიდა იმავე წლის 24 ივნისს, ვერ მოხდება მის ამოქმედებამდე არსებული სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არ აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული.

თუ სუბიექტი წარმოადგენს სდპ-ს, პირველი ან მეორე კატეგორიის საწარმოს, კანონის 28-ე მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით, მას ევალება დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 2018 წლის 1 ოქტომბრისა¹, 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა.

იმ შემთხვევაში თუ ფასს 1-ის ან მსს ფასს-ის 35-ე მუხლის თანახმად, შესაბამის სტანდარტზე გადასვლის თარიღი არის:

1.2016 წლის 1 იანვარი (ან უფრო ადრინდელი თარიღი), საწარმომ სამსახურში უნდა წარადგინოს კანონით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისად მომზადებული სრული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც უნდა მოიცავდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2016 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის დასასრულისთვის, 2016 და 2017 წლების მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებებს, 2016 და 2017 წლების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებებს, 2016 და 2017 წლების ფულადი ნაკადების ანგარიშგებებსა და 2016 და 2017 წლების განმარტებით შენიშვნებს. გასათვალისწინებელია, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული 2017 წლის ინფორმაცია უნდა იყოს აუდიტირებული. სუბიექტის მიერ ანგარიშგების ასეთი ფორმით წარდგენა ჩაითვლება კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნის შესრულებად.

1 იგივე პრინციპი გავრცელდება იმ საწარმოებზეც, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი არ ემთხვევა კალენდარულ წელს შესაბამისი საანგარიშგებო თარიღების გათვალისწინებით.



2. 2017 წლის 1 იანვარი, საწარმოო სამსახურში უნდა წარადგინოს კანონით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც უნდა მოიცავდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2017 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2017 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, 2017 წლის საკუთარი ვაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, 2017 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგებასა და 2017 წლის განმარტებით შენიშვნებს. გასათვალისწინებელია, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული 2017 წლის ინფორმაცია, გარდა 2017 წლის საწყისი პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისა, უნდა იყოს აუდიტირებული. სუბიექტის მიერ ანგარიშგების ასეთი ფორმით წარდგენა ჩაითვლება კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნის შესრულებად. ამ შემთხვევაში წარსადგენ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული დასკვნის მომზადებისას აუდიტორებს/აუდიტორულ ფირმებს შეუძლიათ იმოქმედონ ასს 800-ის მოთხოვნების შესაბამისად.
